საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 72 2019 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2018 წლის 8 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

მამუკა ბახტაძე